

**ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი
სხდომის ოქმი N6**

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65

08.04.2020 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე მოადგილე - **ალექსანდრე ლილუაშვილი**.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი: – ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, გელა ჩიკვაძე, ტარიელ ბარამიძე, რამაზ არველაძე, გიგა გოგობერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, კობა მაგნიძე, ვლადიმერ ჭვალაძე, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, გია ხარაბაძე, ივანე კორძაძე, მალხაზ ცერცვაძე, შალვა ლორთქიფანიძე, პაატა ხურციძე, ვარლამ გიორგაძე, შოთა გიორგაძე, მერაბ ხურციძე, გია ოჩხიკიძე, აპოლონ რამიშვილი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები. ეთერი ჭიჭინაძე, დავით ხარძეიშვილი, თამთა დვალიშვილი, თამარ შენგელია, ბიჭიკო პაიკიძე, ოლეგი მიქელთაძე, რობიზონ ფუტყარაძე, ამირან ტალახაძე, თენგიზ დვალიშვილი, გელა ღვიტიძე, სანდრო ხურციძე, დავით ადეიშვილი, დავით კაკაბაძე, თორნიკე ერისთავი.

(დანართი: N1)

სხდომას ასევე ესწრებოდა:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი - **ლუიზა ჯოგლიძე**.

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში - **ლუბა გოგოძე**.

მოწვეული პირი:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **ივანე მამფორია**.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსი - **დავით გაბუნია**.

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 14⁰⁰ საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 დეკემბრის N27 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელი: /ივანე მამფორია/

2. „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 ნოემბრის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელი: /დავით გაბუნია/

3. „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცებისა და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელი: /დავით გაბუნია/

4. ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელი: /ივანე მამფორია/

თანამომხსენებელი: /ტარიელ ბარამიძე/

წარმოდგენილი პროექტისადმი შენიშვნები არ გამოთქმულა. ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე -21

წინააღმდეგი - არცერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 დეკემბრის N27 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტში ცვლილება ეხება ორ საბიუჯეტო პროგრამას.

საბიუჯეტო ცვლილება ეხება ორ საბიუჯეტო პროგრამას. „საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება“ (02 01) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში, საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაზე ჩატარებული ტენდერის შედეგად წარმოშობილი ეკონომიის ხარჯზე მცირდება 14,0 ათასი ლარით. საბიუჯეტო პროგრამა „სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია (05 01 05) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში, ვანის ცენტრალური სტადიონის გარე პერიმეტრის მოწესრიგების ღონისძიებების დაფინანსების მიზნით, იზრდება 14,0 ათასი ლარით. ასევე გაცნობებთ, საქართველოს

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2020 წლის 24 მარტის N 584 განკარგულებით დამატებით გამოყოფილი თანხის ასახვა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განხორციელდა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 6 მარტის N83 დადგენილებით განსაზღვრული წესით, ვანის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 25 მარტის N20 420 ბრძანებით. ზემოაღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის შემოსულობები განისაზღვრება 14302.4 ათასი ლარით, გადასახდელები 15626.5 ათასი ლარით, ხოლო ნაშთის ცვლილება -1324,1 ათასი ლარის რედაქციით.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 21

წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვეტის: დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 დეკემბრის N27 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

(დადგენილება N 13)

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა დავით გაბუნიაშვილმა წარმოადგინა დადგენილების პროექტი. „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 ნოემბრის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მერიის დებულებაში შევიდა შემდეგი ცვლილება: იმასთან დაკავშირებით, რომ მერიის წარმომადგენლები იყვნენ პროფესიული საჯარო მოხელეები, დებულებაში შეტანილი ცვლილებით გახდნენ ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირები. ასევე ცვლილება შევიდა კონკურსის ჩატარების წესში.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 21

წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვეტეს: დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 ნოემბრის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

(დადგენილება N14)

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა დავით გაბუნიაშვილმა წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცებისა და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.”

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დებულების N2 დანართში დაშვებული იქნა ტექნიკური შეცდომა, გაასწორეს ეს შეცდომა წარმოადგინა ახალი დანართი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 21

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვეტეს: დამტკიცდეს „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცებისა და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.”

(დადგენილება N 15)

დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა ვრცლად ისაუბრა 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ:

ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2018 წლის 28 დეკემბერს, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N125 დადგენილებით. შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 7400,0 ათასი ლარის ოდენობით. 2019 წლის განმავლობაში ბიუჯეტში იქნა შეტანილი ცვლილებები და შემოსულობები დაზუსტდა 12887,0 ათასი ლარის, გადასახდელები 16628,2 ათასი ლარის, ხოლო ნაშთის ცვლილება 3741,2 ათასი ლარის მოცულობით.

2019 წლის ბიუჯეტის შემოსავლების წლიური გეგმა 12787,0 ათასი ლარით განისაზღვრა. ბიუჯეტში მობილიზებულია 13020,4 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 101,8% -ს შეადგენს.

გადასახადების 2019 წლის საპროგნოზო მოცულობა 6681,8 ათასი ლარით განისაზღვრა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღებული 6988,0 ათასი ლარი წლიური გეგმის 104,6% -ია.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტების 2019 წლის გეგმა 5632,0 ათასი ლარით განისაზღვრა. მუნიციპალიტეტს ფაქტობრივად მიღებული აქვს 5542,9 ათასი ლარის მოცულობის გრანტი, წლიური გეგმა 98,4%-ით შესრულდა.

სხვა შემოსავლების წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 473,2 ათასი ლარით. მობილიზებულ იქნა 489,5 ათასი ლარი, წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 103,4%.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯების წლიური გეგმა 7579,4 ათას ლარს შეადგენს. საანგარიშო პერიოდის საკასო ხარჯმა შეადგინა 7490,6 ათასი ლარი, რაც წლიურად დამტკიცებული გეგმიური მაჩვენებლის 98,8%-ია.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილების დამტკიცებული წლიური გეგმა 8921,0 ათასი ლარით განისაზღვრა. საკასო შესრულება 7919,0 ათასი ლარია, გეგმიური მაჩვენებლის 88,8%.

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდოს 2019 წლის შესრულების მაჩვენებელმა - 2389,2 ათასი ლარი შეადგინა.

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილების 2019 წლის შესრულების მაჩვენებელი -2417,0 ათასი ლარია.

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით, 2019 წლის ბიუჯეტში შექმნილი სარეზერვო ფონდის განკარგვა განხორციელდა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილი წესისა და ვანის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე. სარეზერვო ფონდიდან მთელი წლის განმავლობაში სხვადასხვა ღონისძიებისათვის 110,0 ათასი ლარი გამოიყო. გამოყოფილი თანხების საკასო შესრულება 110,0 ათას ლარს შეადგენს, საიდანაც სუბსიდიის მუხლით 10,0 ათასი ლარი მიიმართა, სხვა ხარჯების მუხლით 6,0 ათასი ლარი, ხოლო სოციალური უზრუნველყოფის მუხლით 94,0 ათასი ლარი.

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების 2019 წლის გეგმიური მაჩვენებელი 16628,2 ათასი ლარით განისაზღვრა, საკასო შესრულებამ წლიური გეგმის 93,6-%, 15572,1 ათასი ლარი შეადგინა.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. დეპუტატების მხრიდან ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შეფასდა დადებითად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 21

წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვეტის: დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 ნოემბრის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი
ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის თავმჯდომარე